

## პროექტ-გაკვეთილი შოთა რუსთველი-850 წლისთავი

თამარ ფაჩულია

შპს „თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიის“ პედაგოგი

E-mail: tamriko-70@mail.ru

### ანოტაცია

აღნიშნულ ნაშრომში განვიხილავ ჩემი და ჩემი მოსწავლეების მიერ განხორციელებულ კონკრეტულ პროექტ-გაკვეთილს: შოთა რუსთველი-850 წლისთავი. შოთა რუსთველი და მისი უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ მოსწავლეებში იწვევს ერთგვარ შიშს. ბავშვებს ხშირად უჩნდებათ ნეგატიური დამოკიდებულება პოემის მოცულობითი და ღრმად გასააზრებელი ტექსტის მიმართ. ეძნელებათ მისი შესწავლა. შევეცდები განვსაზღვრო ამ მეთოდის ეფექტურობა.

**საკვანძო სიტყვები:** პროექტი, გაკვეთილი, კვლევა, უნარი.

**შესავალი:** თანამედროვე სკოლა წარმოუდგენელია განვითარების გარეშე. ეს კი მუდმივ ძიებას, მოძრაობას, საქმიანობას, პრობლემის იდენტიფიცირებას, მის გადაჭრას, მოსწავლეების, მშობლების, პედაგოგების აქტიურობას გულისხმობს, რაც მომავლის სკოლის შენებას ნიშნავს.

მომავლის სკოლის შენება მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთ აქტივობასთან, როგორცაა პროექტი - კონკრეტული პრობლემის გადაჭრისაკენ ან ინიციატივის განხორციელებისაკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაო, რომელიც მოსწავლეთა კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობითი და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული ქმედებისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად.

პროექტ-გაკვეთილი არის სწავლების განსაკუთრებული ფორმა, რომლის დროსაც მასწავლებლები და მოსწავლეები მიმართავენ ერთობლივად ფორმულირებულ თემას, საკითხს, პრობლემას. მის დასამუშავებლად ადგენენ გეგმას, მონაწილეობენ ამ გეგმის შესრულებაში და წარმოადგენენ საერთო პროდუქტს.

გაკვეთილი-პროექტი მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ფაქტობრივი ცოდნის მიღების თვალსაზრისით, მეორე მხრივ, სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარებისა და სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისათვის, ასევე ზრდის სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას.

მინდა გაიმბოთ ჩვენს სკოლაში განხორციელებული ერთ-ერთი წარმატებული სასწავლო პროექტის შესახებ, რომელსაც ვახორციელებ ჩემს მოსწავლეებთან ერთად. გაკვეთილი-პროექტის სახელწოდება გახლდათ:

### შოთა რუსთველი - 850 წლისთავი.

**პრობლემა** - რთულია, ბოლომდე ჩასწვდნენ პოემის ლიტერატურულ, მხატვრულ თავისებურებებს, შეითვისონ და გაითავისონ რუსთველის ენა. მოსწავლეთა უმრავლესობა პოემის შინაარსს ინტერნეტ სივრცეში ეძებს.

**მიზანი:**

1. პოემისადმი ინტერესის გაღვივება, გაუადვილდეთ რუსთველის პოემის რთული, მრავალპლანოვანი აზრობრივი შინაარსის წვდომა;
2. შეიყვარონ და სიღრმისეულად დავეხმაროთ მოსწავლეებს დაეუფლონ ჩვენს ეროვნულ საუნჯეს - „ვეფხისტყაოსანს“;
3. კრიტიკული აზროვნების, ინფორმაციის მოძიების, დახარისხების, თანამშრომლობის, საკომუნიკაციო და შემოქმედებითი უნარების განვითარება;
4. სასწავლო რესურსების შექმნა.

**მეთოდები და პროცესის მოკლე აღწერა:**

**დაგეგმვა:** აღნიშნულ პროექტ-გაკვეთილზე მუშაობა დიდი სიხარული აღმოჩნდა ჩემი მოსწავლეებისათვის (მე-10, მე-11, მე-12 კლასელებისათვის). შეთავაზებული საკითხები გავანაწილე კლასების მიხედვით:

**პირველი ჯგუფი** (მე-10 კლასი) „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ შესწავლილი მასალის თავმოყრა,

კონფერენციის მოწყობა, თემების განაწილება.

**მეორე ჯგუფი** (მე-11 კლასი)- -იზრუნებდა პოეზიის საღამოს მოწყობაზე,

სახელწოდებით:

ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“.

**მესამე ჯგუფი** (მე-12 კლასი)- -დაევალა კვლევების თავმოყრა და საზოგადოებისათვის გაცნობა.

დანარჩენი სამუშაო კი ყველა კლასისათვის საერთო იყო, რაც მოიცავდა:

- საუკეთესო კედლის გაზეთი;
- საუკეთესო ესე, ჩანახატი;
- საუკეთესო კალიგრაფი;
- საუკეთესო დეკლამატორი;
- ინტელექტუალური ვიქტორინა „რა? სად? როდის? (ვინ უკეთ იცის „ვეფხისტყაოსანი“).

სამუშაო საკმაოდ დიდია და დრო ერთი თვით შემოვფარგლეთ. ერთობლივად გავაანალიზეთ ყველა მოსალოდნელი კითხვა და დაბრკოლება, დავაწესეთ კონსულტაციის დღეები.

**კითხვები და ამოცანები:**

- რამდენად მნიშვნელოვანია პროექტის მონაწილეთათვის გადასაჭრელი პრობლემა?
- საკმარისი იყო თუ არა მოსწავლეთა კომპეტენცია მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად?
- არის თუ არა დავალებები ისე განაწილებული, რომ თითოეული მოსწავლის ძლიერი მხარე წარმოჩინდეს?

**პროექტზე მუშაობა:** მოსწავლეებმა მოიპოვეს მასალები. გაიზარდა მათი მოტივაცია და პასუხისმგებლობა. მათ ეფექტურად გამოიყენეს ინტერნეტრესურსები. თანამშრომლობდნენ წარმატებით.

**ინფორმაციის გადამუშავება.** კრიტიკული აზროვნებისათვის ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება მხოლოდ საწყისი ეტაპია, ამისათვის ცოდნისა და გამოცდილების დაგროვება გახლავთ აუცილებელი პირობა. მოსწავლეებმა იმუშავეს შეთანხმებულად, რადგან კრიტიკული აზროვნება სოციალური აზროვნებაცაა, შევეცადე მოსწავლეებს შეძლებოდათ სხვათა მოსმენისა და მათი აზრის გათვალისწინება, საკუთარი პოზიციის დაფიქსირება და დაცვა, საკუთარ მოსაზრებაზე პასუხისმგებლობა.

**კრეატიულობა, შემოქმედებითობა:** ეს უნარები სლაიდების შექმნისა და კედლის გაზეთის გაფორმებისას გამოიყენეს. პროექტის ერთ-ერთი მიზანიც სწორედ გახლავთ-სასწავლო რესურსების შექმნა. უკვე გადამუშავებული ინფორმაცია, თეზისების სახით გადაიტანეს სლაიდებზე.

**პროექტის შედეგი:** შესრულებული დავალებები განაწილდა კვირის დღეებზე და თანმიმდევრულად წარმოადგენილ იქნა საკონფერენციო თემები და პრეზენტაციები:

- 1-ლი დღე-კვირეულის გახსნა. მე-10 კლასმა წარმოადგინა პრეზენტაცია შემდეგ საკითხებზე: „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ეპოქის ძეგლი; „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრი; სიყვარული და მეგობრობა „ვეფხისტყაოსანში“ და სხვა.
- მეორე დღე- მე-12 კლასმა დამსწრე საზოგადოებას წამოუდგინა შეგროვილი კვლევები „ვეფხისტყაოსანზე“ და მის ავტორზე;
- მესამე დღეს- მე-11 კლასმა მოაწყო პოეზიის საღამო, სახელწოდებით: კვითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“.
- მეოთხე დღეს ჩატარდა ინტელექტუალური კონკურსი „რა?სად?როდის? (ვინ უკეთ იცის „ვეფხისტყაოსანი“), სადაც ზემოთ ჩამოთვლილი ყველა კლასი ღებულობს მონაწილეობას.
- მეხუთე დღეს- გაიმართა კონკურსი საუკეთესო (ნახატებისა და კალიგრაფიული) ნამუშევრების გამოსავლენად. ასევე მოსწავლეებს მიეცათ დავალება, საკუთარი ინტერპრეტაციით დაესრულებინათ ფრაზა: მე რომ ვეფხისტყაოსნის პერსონაჟი ვიყო, ვიქნებოდი... კვირეული დასრულდა კონკურსის შედეგების განხილვითა და დაჯილდოებით.

გამოიკვეთა შემდეგ ნომინაციებში გამარჯვებულები:

1. საუკეთესო კედლის გაზეთი;
2. საუკეთესო ესე, ჩანახატი;საუკეთესო კალიგრაფი;
3. საუკეთესო დეკლამატორი;
4. პროექტზე მუშაობისას მოსწავლეებმა განამტკიცეს შემდეგი უნარები:
  - შეძენილი ცოდნა და უნარები გამოიყენეს პრაქტიკაში;
  - გაიზარდა სწავლის მოტივაცია და მოსწავლეთა პასუხისმგებლობის გრძნობა;

- შექმნეს სასწავლო რესურსები სლaidების სახით; საკლასო ოთახებს შეემატა ახალი კედლის გაზეთები, მოვაწყვეთ კალიგრაფიული ნიმუშების გამოფენა;
- მოხდა ცოდნის ტრანსფერი.

შესრულებული სამუშაოს შეფასება: შეფასდა მოსწავლეთა საპრეზენტაციო, კვლევის უნარები. გარდა ამისა, მუშაობის პროცესში, მოსწავლეები წარმოადგენენ წერილობით და ზეპირ ანგარიშებს.

სამუშაო წარმატებით შესრულდა.

### დასკვნა

გაკვეთილის ემოციური დასასრული, რაც გულისხმობდა მოსწავლეებს საკუთარი ინტერპრეტაციით გამოეთქვათ მოსაზრებები, მოსწავლეთა პასუხები და გაკვეთილის მთავარი სათქმელიც ასეთი იყო: მე რომ ვეფხისტყაოსნის პერსონაჟი ვიყო, ვიქნებოდი... შემწყნარებელი, დემოკრატი, აქტიური მოქალაქე, კეთილგონიერი, თავისუფალი, გონიერი, ტოლერანტი, ჰუმანისტი, მეგობრული, პროგრესულად მოაზროვნე, ძლიერი, ინდივიდი, ნოვატორი, შრომისმოყვარე, განათლებული, კეთილმოსურნე...

პროექტის, როგორც აქტივობის შედეგია ის, რომ ხელს უწყობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ხორცშესხმას: უვითარებს მოსწავლეებს ინტერპერსონალურ უნარ-ჩვევებს; ხელს უწყობს ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტურ გამოყენებას; ასწავლის მოსწავლეს, იყოს შემოქმედი; უყალიბებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარების სურვილს; საშუალებას აძლევს, გაიაზროს ქვეყნის ინტერესები, ტრადიციები და ღირებულებები; ზრდის კანონმორჩილ მოქალაქეს.

ვფიქრობ, განხორციელებული პროექტ-გაკვეთილი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებას, იძლევა ეფექტურ შედეგს მოსწავლეთა ჩართულობის კუთხით და ეხმარება მათ არა მარტო სააზროვნო, არამედ ისეთი სოციალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში, როგორცაა გუნდურობა, პასუხისმგებლობის გრძნობა და საკუთარ ცოდნაზე დაკვირვების ანალიზი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაიოზ იმედაშვილი, ვეფხისტყაოსანი და ქართულ კულტურა, თბ., 1968;
2. ნოდარ ნათაძე, სარგის ცაიშვილი, შოთა რუსთველი და მისი პოემა, თბ., 1966;
3. ნოდარ ნათაძე „ვეფხისტყაოსანი“ - სასკოლო გამოცემა, თბ., 2005წ.
4. მ. ბოჭორიშვილი, როგორ შევადგინოთ საგანმანათლებლო პროექტი-გზამკვლევი მასწავლებლებს;
5. ს.ლობჯანიძე, როგორ დავგეგმოთ და განვახორციელოთ პროექტი გაკვეთილი;
6. ქ.ნინიძე, პროექტზე დაფუძნებული სწავლება და მისი პერსპექტივები, ჟურნალი მასწავლებელი #5 2011, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა: გვ.46-59.

Article received: 2016-04-14